დილით, განმარტოებისას...

ჩღ... წლის შემოდგომის დილა თენდებოდა, მეფეს მთელი ღამე მშვიდად არ ეძინა, რაღაც აწუხებდა მის გულსა და სულს. დილით ადრე წამოდგა, მარტო სურდა ყოფნა. ერთგული მსახური დაითხოვა. აბრეშუმის წინდები ნაჩქარევად ჩაიცვა, ტანზე მოსასხამი მოიხურა, სასთუმალთან ხის ჯვარი ედო. აიღო, ემთხვია, თითებს შორის მოაქცია ჯვარი და სასახლის აივანს მიაშურა, არე-მარეს გადახედა, შორს თეთრწვეროსანი მთები ნისლში გახვეულიყვნენ. ალაზნის დაბლობი ყვითლად შეფერილიყო, მეფეს ცივი ნიავის ქროლვა ესიამოვნა, თუმცა, ღამით ნაფიქრი, ისევ თან დასდევდა , არ შორდებოდა.

ოთახში შემოსულმა მაუდგადაფარებულ მაგიდაზე შეამჩნია ჩაის ფინჯანი, შუა ადგილას საშაქრე და ვერცხლის საწურავი, მათ გვერდით ყავის ფინჯანი, თითბრის ზართებით.

ყავა ძალიან უყვარდა, უმთავრესად დღისით მიირთმევდა. გაახსენდა ჩაის ფინჯანი ანასტასია ბატონიშვილს ეკუთვნოდა. ეს ლამაზი საშაქრე თეკლე ბატონიშვილმა მიართვა.

მაგიდაზე სანთლის ნამწვები შენიშნა, ვერ გადაწყვიტა ყავა დაელია, თუ ჩაი. ბროლის საშაქრეებს შეხედა, ერთი მწვანე იყო, მეორე თეთრი. გაუკვირდა ორივე რომ ეწყო მაგიდაზე, თეთრი ფერი უყვარდა, აიღო მეორე, მწვანე და კუთხეში მიყუდებულ იახტანში ჩადო.

მაგიდას მიუჯდა, სიგელის ქაღალდები ეყარა, ისევ შეხედა ფინჯნებს, ვერ გადაწყვიტა ყავა დაელია თუ ჩაი. მზე უკვე ამოსულიყო, პირველი სხივი შემოიჭრა მეფის სამყოფში. დიდხანს წერდა მეფე სიგელის ქაღალდებზე. დაიღალა. წამოდგა. მაგიდიდან ყავის ფინჯანი აიღო, ფრთხილად ჩადო იახტანში. ეს იახტანი დედის ნაქონი იყო, უფრთხილდებოდა და ყველაზე ძვირფას ნივთებს იქ ინახავდა და მისი შეხებისას თითქოს დედის სითბოს გრძნობდა. ის ყოველ დილით ფიქრობდა, თუ საგნები და ადამიანები რაოდენ ძვირფასი იყო მისთვის.

დიდხანს იდგა სკივრთან, ხელით ნაქარგ-ნაკეთს მისჩერებოდა, თითქოს პირველად ხედავდა მას.

უცნაური მზერით შეათვალიერა თაროზე ჩამწკრივებული თვრამეტი ჩაის ფინჯანი ნალბაქებით. დღეს სტუმრებს ელოდებოდა...

მეფემ გადაწყვიტა ჩაი დაელია... და ნაღვლიანად გადახედა კუთხეში მდგარ იახტანს...

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურის საჯარო სკოლა

ავტორი: თეკლე შენგელია; ასაკი 18 წლის; კლასი: მე-12-ე